

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

2023 წლის სამუშაო გეგმა

1. კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი - თებერვალი);
3. ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემებისა/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ (იანვარი - თებერვალი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი-მარტი);
5. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ (თებერვალი - მარტი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი-აპრილი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
8. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი-ივნისი);
9. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ (აპრილი-ივლისი);
10. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ (ივლისი - სექტემბერი);
11. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღების შესახებ (წლის განმავლობაში);
12. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ (წლის განმავლობაში);
13. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ (წლის განმავლობაში);
14. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულების შესახებ (წლის განმავლობაში);
15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).